ხუთშაბათი 1919 წ. მარტის 27 № 68
ყოველდღიური გაზეთი

ხუთშაბათი 1919 წ. მარტის 27 № 68
ფასი თბილისში კოოპერაციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ღრმად დამწუხრებული დაი მარიამ გიორგის ასული მძინარიშვილისა, სიძე ივანე რაჟდენის ძე შვილებით: ლადო, ნიკოლა, ნინა, ოლიჩკა, მიტუშა და რძლები: ბარბარე ბესარიონის ასული, და ნინა პეტრეს ასული მძინარიშვილებისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამ დღეებში გარდაიცვალა მღვდელი

## ლევან ახალკაცი

დაკრძალვა მოხდება 27 მარტს სოფ. ბერძენაულში (გორის მაზრა).
1—2251—1

მზადდება და მაისის შუა რიცხვებში გამოვა

## გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

(დაბეჭდილ და დაუბეჭდავ წერილების კრებული)

ამ კრებულში სხვათა შორის დაიბეჭდება შემდეგი წერილები: ჩაქუჩიანი მამაკაცი, ჯვარედინ გზაზე, მელანქოლიური შენიშვნები, საქართველოს წარსულიდან, ეროვნული ვარჯიშობანი, ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია, ცეცხლის სარბიელი, გეოგრაფიული ოცნებები, საქართველო და რევოლიუცია, ბოლშევიკები, სპარტაკის აჯანყება, ევროპის მწუხრი, ინდუსტრიულ კულტურის მომავალი, ქართული შენობა, განახლების დასაწყისი, ვაჟა ფშაველა, ახალი პოეზია, ქართული თეატრი.

წიგნი შეიცავს 320—340 გვერდამდე და ღირება 15 მანეთამდე.

3—1 გამომცემელი გრიგოლ ცხაკაია

## ქართული ენის გაკვეთილები

ვაძლევ ქართულ ენის გაკვეთილებს

პირობების გაგება შეიძლება საღამოს 5 ს.—7 საათამდე.

მისამართი: სასამართლოს ქუჩა № 40 ბინა ერისთავისა. (3 უ—1)

## ლექციის კურსები

მ ს ა ხ ი ო ბ

## ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლექციის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—2

## ქართული ლატარია

არჩევნები, სია, სია,
მართალია ძვირფასია,
მაგრამ მეტად კაპასია,—
საარჩევნო ომის სცენა.

ყველა ფიქრი, ყველა ძალა,
ჩვენ არჩევნებს ენაცვალა,
და არავის არ ეცალა—
ლატარია გაეხსენა.

პარტიული ომი ქრება,
დამფუძნებელი გვაქვს კრება,
მტერიც ველარ გვემუქრება:
მტერი—მიწის სადარია.

მინდა ყველას რომ მივმართო,
იყოს ლაღი და უდარდო,
და ახსოვდეს მარად მარტო,
დღეს ქართული ლატარია.

გვინდა სკოლა უმაღლესი,
და თეატრიც უკეთესი,
რომ აუგოთ ბნელეთს წესი,
კულტურამ არ დაიძინოს.

ვისაცა სწამს ქართვლის ბედი,
არ სურს ჰკლავდეს სიბნელეთი,
ლატარიის მან ბილეთი
დღესვე უნდა შეიძინოს.

4—38—2

რესტორანი პარიზი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

## საგანგებო ყავა-ხანა

ფასები ზომიერია

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფასდაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25 32—9 პატივისცემით: ს. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

## იყიდება შეშა

ყოველნაირ ჯიშისა და ზომისა ნიხრზე ნაკლებ მხოლოდ ძმ. ზოდელავას მიერ ახლად გახსნილ საწყობში ბორჯომის ქუჩა № 15.

6—2245—3

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში

## ვამზადებ მოწაფეებს

(ორთავე სქესისას) საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და 3—6 საათამდე სალამოთი. მიხაილოვის პროსპ. სახლი № 141. ბინა 4.

(1—2251—1)

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 27 მარტს, წარმოდგენილი იქნება

## აბესალომ და ეთერი

28 მარტს ენრიკო ბროჯის იუბილე „რიგოლეტო", 29 მარტს „მასკოტა", 30 მარტს დილით „ჩერევიჩკი" საღამოთი „ტრავიატა".

გ ა ზ ე თ

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს"

რ ე დ ა ქ ც ი ი ს

## მხატვრული საღამო დიდი მხატვრული საღამო

ლიტერატურული, არტისტიული და მხატვრული თბილისის გამოფენა.

საგანგებოთ მზადდება სურათები, შარჟები და დეკორაციები ცნობილ მხატვრების მიერ.

მედიცინის დოქტორი

## ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) სავლე ტელეფონი № 43.

60—2171—14

## ეროვნული საბჭოები

რევოლიუციის პირველ ხანებში აუცილებელი გახდა მრავალი ნაუცბევი ორგანიზაციის შემოღება, რომ ძველი ნორმების გაუქმებას ანარქიული აშლილობა არ მოჰყოლოდა. მიუხედავად მრავალი ნაკლულევანებისა, ამ ორგანიზაციებმა დიდი დადებითი მისია შეასრულეს და ბევრგან ქვეყანა კონსტიტუციურ წესიერების შემოღებამდე მიაცილეს. ერთ ერთ ამგვარ დიდ ორგანიზაციებს წარმოადგენენ ეროვნული საბჭოები იმ ქვეყნებში, რომელნიც რევოლიუციის ხანაში რუსეთისაგან დამოუკიდებელ თვით-არსებობის გზას დაადგნენ. ამ მხრივ, ფრიადი მნიშვნელობისაა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც გზა და გზა ცოტაოდენის ცვლილებით მოუძღვა საქართველოს დამფუძნებელ კრებამდე. რევოლიუციის ფსიხოლოგია სრულიად ბუნებრივად სწვდა საქართველოში მოსახლე სხვა ერებსაც, რომელთაც თავიანთის მხრით თავთავიანთი ეროვნული საბჭოები შემოიღეს. თავის ცენტრში მოუწყობელი საქართველო პირველ ხ ნებში ვერ შესძლებდა წესიერი ორგანიზაციის სახით უზრუნველეყო და დაეკმაყოფილებინა ამ ჩამოსახლებულ ეროვნებათა თავისებური მოთხოვნილება; ასეთ პირობებში მათი ეროვნული საბჭოების გაჩენა საჭიროც იყო და სასურველიც. მაგრამ ნორმალური ცხოვრების თანდათანი დამყარება ნაუცბევს, სარევოლიუციო დროის ორგანიზაციებს ადგილს აცლევინებს და ჰქმნის უკვე კონსტიტუციურად ჩამოყალიბებულ წესებს, ნორმებს დაწესებულებებს, რევოლიუციით მოპოვებულ პრინციპების საფუძველზე. რაც წინად აუცილებლობით იყო გამოწვეული და გარდამავალის ხასიათით, ახალ სინამდვილის დამყარებას ეხმარებოდა, დღეს არამც თუ საჭირო აღარ არის, არამედ თავისი დროგადასულობით, აფერხებს და ხელს უშლის ცხოვრების ჩადგომას კონსტიტუციურს კალაპოტში, იწვევს ფუნქციების არევ დარევას, დაპირისპირების და ანარქიის წყაროდ ხდება.

წარსულის საპატიო როლით გაზვიადებული, ეს დაწესებულებები უკვე სახელმწიფო ფუნქციებს იჩემებენ და საქართველოში საქართველოს ერთ მთავრობის გვერდით პატარა ეროვნული მთავრობების გამრავლებას ლამობენ. „სამხრეთ ოსეთის" ეროვნული საბჭოს მოქმედება ამისი ცოცხალი მაგალითია. ჯავის ხეობაში აღარ მოქმედობს საქართველოს წესები და საქართველოს მთავრობა იქ ცნობილი არ არის. ოსთა საბჭო გამოცხადებულია ამ კუთხის სრულ ბატონ-პატრონად. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს იქ არც კი უშვებენ. თუმცა დღეს ასეთ აქტიურ წინააღმდეგობის გზას სხვა ეროვნული საბჭოები არ ადგანან, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვავიწყდება, თუ რა სიძნელეს და დაბრკოლებას უქმნიდა ზოგიერთი მათგანი საქართველოს სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას წარსულ ათი თვის განმავლობაში. ეს პრეცედენტები სწორედ იმდენათვე არგუმენტია, რათა ამ საბჭოებმა, შემთხვევის მიხედვით, მომავალშიაც განიმეორონ წარსულის მოქმედებანი.

გაზეთი „მშაკი" ამ მიმართულებით უკვე შეუდგა სომხის ეროვნულ საბჭოსთვის იდეოლოგიის „დაამუშავებას". იგი მოითხოვს „სომხეთის" (თუ სომხურ?) ეროვნულ საბჭოსაგან შეიმუშაოს „შინაგანი კონსტიტუცია სომხის მოსახლე ხალხისათვის და დააკანონოს ავტორიტეტულ დაწესებულებად დამფუძნებელ კრების დადასტურებით". „მშაკი" ამოძრავებს თავისიანებს და მოუწოდებს საქართველოში სომხეთის დაარსებისაკენ, საქართველოს ხაზინის ხარჯით. იგი სწერს: „საქართველოში სომხეთის დაარსება საკუთარის საშუალებით, ეს იქნება შეუფერებელი და შეუსაბამო საქმე". „მშაკის" აზრით „სომხეთის ეროვნული საბჭო საქართველოში არ უნდა იყოს სახალხო მართველობის და მფარველობის სახისა. იგი უწინარეს ყოვლისა არის წარმომადგენელი ეროვნული უმცირესობის და ფრთხილად და მედგრად უნდა იდგეს ნაციონალურ ინტერესების სადარაჯოზეო". „მშაკს" საქართველოში სომხეთის დაარსება უნდა და შექმნა სომხური პარლამენტის. „მშაკის" პოლიტიკა ერთობ გამჭვირვალეა და ყველამ იცის, სად უტყამს იგი. რუსული ეროვნული საბჭო ხომ ბატონის მედიდურობითა და დიდი რუსეთის რეკონსტრუქციის პრიზმით უყურებს საქართველოს; მისი პრაქტიკული მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზედ ამ მიზნებთან არის შეთანხმებული. ყველა ეს საბჭოები ანტიქართული პოლიტიკური დაწესებულებები იყვნენ და კიდევ დიდხანს ამგვარებად დარჩებიან. მათი არსებობა პოტენციაში ატარებს მუქარას და ხიფათს, რომელიც თავს იჩენს ჩვენი ქვეყნის ყოველს მძიმე წუთებში.

ჩვენმა მთავრობამ ბევრი უსიამოვნება, მსხვერპლი და ზიანი მიაყენა თავის ქვეყანას იმით, რომ დროზე არ მიიღო შესაფერი ზომები ამ საბჭოების წინააღმდეგ. თუ აქამდე, თუნდაც ჩვენდა საზიანოდ, კიდევ შეიძლებოდა ამ საბჭოების არსებობის შეწყნარება, ამიერიდან კი მათი არსებობის გამართლება ყოვლად შეუძლებელია. თუ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათ საქართველოსადმი ლოიალური გრძნობები უღვივით და მხედველობაში მარტო კულტურული მიზნები აქვთ, ხელთ ათასი საბუთი მოეპოებათ იმისა, რომ მათი ეროვნულ-კულტურული სახე და განვითარება სრულიად ხელშეუხებელი და უზრუნველყოფილია. ეროვნული საბჭოები ამისთვის ზედმეტია. ისინი ამას არც ემსახურებოდნენ.

ჩვენი ადგილობრივი თვითმართველობების კომპეტენცია განათლების, სამართლის, ადმინისტრაციის და ეკონომიკის სფეროში იმდენად ფართოა, რომ ცენტრალურ მთავრობას ამ დარგებში თითქმის არაფერიც რჩება.

ამ მხრივ ყოველ ეროვნულ უმცირესობას დიდი ასპარეზი ეშლება წინ პრაქტიკულად ეროვნულ კულტურულ მოღვაწეობისთვის, თავ-თავის თვითმართველობის ფარგალში. ესა და საქართველოს ძირითადი კონსტიტუციის ამავე ბუნების გარანტიები პოლიტიკურად და ეროვნულ-კულტურულად სავსებით დამაკმაყოფილებელია ამ უმცირესობათა ყოველგვარი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილებისა. ამ ფარგლების გადასცდენა კი უკვე პოლიტიკური არალოიალობის მანიფესტაციაა. დღევანდელი ეროვნული საბჭოები საქართველოში სწორედ ამგვარი მანიფესტაციის ბუდეებია.

ამიტომაც, მთავრობის მორიგი ზომები ამ საბჭოების ლიკვიდაციას უნდა შეეხოს

## პ რ ე ს ს ა

თბილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვას ეხება თავის მეთაურში გაზეთი „ერთობა" და შემდეგნაირათ ახასიათებს ამ გამოსვლას...

დემოკრატიული წყობილება იმით არის განსხვავებული, სხვათა შორის, ძველი რეჟიმისაგან, რომ აქ მუშებს საშუალება აქვთ თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გარეშე გაფიცვისა. აქ მათ შეუძლიანთ მიმართონ შრომის სამინისტროს, არბიტრაჟს, მომრიგებელ კამერას, რომელთა დადგენილება სავალდებულო ხასიათს იღებს.

# უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეებმა გადასწყვიტეს, შესწყვიტონ ავსტრია-ჰუნგრეთის ბლოკადა. ნეიტრალური გემები ადრიატიკის ზღვის ნავთსადგურებში შევლენ.

ჰუნგრეთის ყველა კუთხეში სიწყნარეა. სოციალურ მრეწ. სახალხო კომისარიატის დადგენილებით ყველა ქარხნების პატრონები წარმოებას განაგრძობენ. ადგენენ პროლეტართა წითელ ჯარს და პოლიციას ითხოვენ.

ჩეხო-სლოვაკთა მთავრობა გადადგა.

ჰუნგრეთის საბჭოს განკარგულებით, დააპატიმრეს ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე.

ფეოდოსიის ახლოს მოხალისეთა ჯარში ძალით გაწვეულნი აჯანყდნენ

---

ყველა ამას მუშები, ნამდვილი მუშები, მუშათა საერთო ინტერესების შეგნებით აღჭურვილნი, არასოდეს არ გაურბიან, პირიქით, იგინი ასეთ საშუალებათა მოსაპოვებლათ იბრძვიან, იბრძოდენ წინადაც, და დღეს მონაპოვარი უფლებებით ფართოდ სარგებლობენ.

მხოლოდ ხუდადოვების და არა მკითხე აპეკუნების უმსგავსო აგიტაციის ნაყოფად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ მოსამსახურენი კონფლიქტს ასე ამწვავებენ დემოკრატიის სახელის გასატეხად.

ამით იგინი ერთხელ ამოჩემებულ, ერთხელ აკვიატებულ იდეას ემსახურებიან, რომელიც რუსულ იმპერიალიზმის სამსახურში გამოიხატება.

ჩვენ სასტიკად ვგმობთ ასეთ გამოსვლას მოსამსახურეებისას. განსაკუთრებით ჩვენი გულის-წყრომა მიმართულია იმ მოსამსახურეებისადმი, რომელნიც საავადმყოფოებსა და ბარაკებში სტოვებენ ავადმყოფებს უმწეო მდგომარეობაში. მათი საქციელი პირდაპირი მკვლელობის ჩადენას უდრის. ამათი საქციელი სრული დავიწყებაა თავის მოვალეობის და უსაზიზღრესათ მოხმარება იმ მძიმე და პასუხსაგებო მოვალეობის, რომელსაც ავადმყოფთა სამსახური ეწოდება.

ჩვენ სრულიათ ვეთანხმებით გაზეთ „ერთობა“-ს ამ გაფიცვის დახასიათებაში. ეჭვი არ არის, რომ ეს გამოსვლა გამოწვეულია რუსულ იმპერიალიზმის იდეის გავლენით. როცა საქართველოს მტრებმა ვერ მოახერხეს დამფუძნებელი კრების და თბილისის ქალაქის არჩევნების ჩაშლა, გადასწყვიტეს ციხის შიგნიდან გატეხა... სხვა დროს ამ გაფიცვას შეეძლო ეროვნულ კატასტროფის გამოწვევა, დღეს ამის შიში არ არის, მაგრამ ჩვენ მომავალშიც არ ვართ დაზღვეული, რომ ასეთი გამოსვლა სწორედ არ იქნება განმეორებული მაშინ, როცა სახელმწიფოს კრიზისი დაუდგება... ის ელემენტები, რომელნიც დღეს გაფიცვას აწყობენ ჩვენს რესპუბლიკაში, მუდამ ასაფეთქებელი დინამიტი იქნება საქართველოსთვის.

საკვირველია, რატომ ასე გვიან აგონდება „ერთობა“-ს ამ ხალხის არსებობა? „ერთობა“ სდუმდა, მაშინ, როცა მობოლშევიკე ქალაქის თავი ნ. ელიავა წინდაწინ განზრახულ მიზნით თავს უყრიდა ამ ხალხს თბილისის მუნიციპალიტეტში და ამით საფრთხეს უმზადებდა, როგორც ქალაქ თბილისს ისე საქართველოს.

ელიავას პოლიტიკა ჯერ კიდევ არ გათავებულა. გუშინ წინ დასრულდა საქართველოს ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობა. ამ ყრილობაზეც ნ. ელიავა დირიჟორობდა და აქაც კავშირის მთავარ შტაბში ისევ რუსები მოექცნენ და წარმოსადგენია როგორი იქნება ეს პოლიტიკა.

„ერთობა“-მ ყველაფერი ეს იცოდა და ეხლაც იცის მაგრამ, „ერთობა“ მხოლოდ მაშინ ალაპარაკდება, როცა საქმე სამუდამოდ გაფუჭებულია, და ალსარებას და ცოდვის მონანიებას რეალური მნიშვნელობა არ აქვს.

## საქ. რესპუბლიკის დელეგატის ბ-ნ დავით ღამბაშიძის წერილი

საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ევგ. გეგეჭკორმა შემდეგი წერილი მიიღო პარიზიდან საქართველოს რესპუბლიკის დელეგატის დავით ღამბაშიძისაგან. „ამ წერილის მომტანი ექიმი James L. Barton-ი თავმჯდომარეა“ ამერიკის საქველმოქმედო კომისიის ახლო აღმოსავლეთში და დღეს მიემგზავრება სტამბოლში.

მასთან ერთად მიემგზავრებიან შემდეგი წევრნი კომისიისა E. Moore W. Teet J. H. Nain W. Teet H. Hatch.

სტამბოლში ისინი ჩამოვლენ 10 დღის შემდეგ და აპირებენ თბილისში წამოსვლას, მთავარ რეზიდენციად კი იქნება სტამბოლი ამერიკის საელჩოსთან.

მათი მიზანია—აღმოუჩინონ სასურსათო დახმარება ახლო აღმოსავლეთის მცხოვრებთ (ფქვილით, ტანთსაცმლით, ფეხსაცმლით და სხვა.) და ამ მიზნით სტამბოლში მიემგზავრება სამი ხომალდი დატვირთული ამ ნაირ საქონლით.

ერთი ამ ხომალდთაგანი ჩამოვა ბათომში იმ პირობით თუ ბათომში მიიღებს სამაგიეროდ საქონელს მაგალითად: თამბაქოს, შავქვას, და სხვ.

საჭიროა ეხლავე დაინიშნოს კომისია, რომელიც დაუკავშირდება ამ ამერიკელთა კომისიას. ამ კომისიაში უნდა მოჰყვნენ პრაქტიკული ადამიანები, რომელნიც შესძლებენ გაცვლას ჩვენ ნედლ საქონლისას მათს საქონელზე, ჩვენთვის ხელსაყრელ ფასებში; ამასთან ერთად ჩვენგან უნდა იყოს დანიშნული ინგლისური ენის ზედმიწევნით მცოდნე პირი, ვინაიდან მათ შორის მხოლოდ ერთმა იცის ფრანგული ენა დანარჩენები ინგლისურად ლაპარაკობენ მხოლოდ... მათი მიზანია—უმთავრესად დახმარება აღმოუჩინონ სომხებს მათზე დიდი გავლენა აქვთ და იქაური სომხები ჩვენზე ათას გვარ ყალბ ბრალდებას ავრცელებენ. მაინც მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენები ენერგიულათ მოიქცევიან უსათუოდ ჩვენც დაგვეხმარებიან.

ეს პირები ყველა ჰუმანისტები არიან და არავითარ პოლიტიკურ პლატფორმას არ იზიარებენ.

შესაძლებელია, რომ ჩვენში ჩამოსვლამდი მათ დასჭირდებათ შეჩერება სტამბოლში. ამ შემთხვევაში კარგი იქნება თუ სტამბოლში მათ შესახვედრად ვისმე გაჰგზავნით.

გაცნობებთ დეპეშით როდის გამოვლენ ისინი აქედან, თქვენ კი მოგვაწოდეთ ხოლმე ცნობები ამ საქმის მსვლელობის შესახებ.

**შაბიამანი.** მივიღე ზომები 4,000 ფუთი შაბიამანის და 4,000 ფ. გოგირდის შესაძენათ, ამიტომ გთხოვ ამის შესახებ არ დაიწყოთ მოლაპარაკება არავისთან. ერთი რამ მაწუხებს: როგორ მივსცეთ ფული, როცა საქონელი მარტში უნდა გამოიგზავნოს, ჩვენ ფულებს კი აქ არავინ დათანხმდება. ამიტომ დაგჭირდებათ დაამზადოთ გამოსაგზავნად ჩვენი ნედლი საქონელი, როგორც მაგალითად თამბაქო და მარგანეცი. ამის გამო ჩვენმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ უნდა ეხლავ მიიღოს ზომები და დაამზადოს მთელი ნედლი მასალა გამოგზავნილ საქონელზე გადასაცვლელად. ეს უნდა გახდეს ბაზად ჩვენი ვაჭრობისა ევროპასთან სანამდის არ დაწესდება ჩვენი რეალი ვალიუტა და არ განმტკიცდება ჩვენი ფინანსები.

საქართველოს საქმეები ჯერ კარგად მიდის, მხოლოდ დელეგაცია ჯერ არ ჩამოსულა და არც ვიცით როდის ჩამოვა.

ინგლისის მთავრობა ყოველგვარ დახმარებას გვიჩენს, საფრანგეთისა კი—ჯერჯერობით არავითარს. ძლიერ სამწუხაროა, რომ ჩვენ რვა დეპეშაზე მივიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი თბილისიდან, თუმცა დეპეშების გზავნა აქედან ძლიერ სამძიმოა, მაგრამ მაინც ვეცდებით პერიოდულად გაცნობოთ საქმის მსვლელობანი.

გთხოვთ გვაცნობოთ ხოლმე ხშირად საქმის მდგომარეობანი. რუსები გვიწევენ მკაცრ წინააღმდეგობას, მაგრამ ვერაფერს გაიტანენ.

ღრმად პატივისმცემელი დელეგატი საქართველოს რესპუბლიკისა

დავით ღამბაშიძე.

## რევოლიუცია ჰუნგრეთში (ბოლშევიკური ცნობები).

**ბუდაპეშტი.** მარ. 26. უნგრეთის საბჭოთა განკარგულებით დააპატიმრეს ყოფილი მინისტრ.-პრეზიდენტი ალექსანდრე ვეკერლე. უნგრეთის სოციალისტურ პარტიის ყრილობის გახსნას დაესწრო აუარებელი პროლეტარი წითელ დროშებით და პლაკატებით. რომლებზედაც ეწერა გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას, „გაუმარჯოს უნგრეთის საბჭოებს“, საბჭოთა რესპუბლიკის თავმჯდომარე ალექსანდრე ჰარბეიმ განუცხადა ხალხს, საბჭოთა მთავრობა იმითია მტკიცე, რომ ძალა-უფლება მას ჩააბარა არა პრივილეგიურმა კლასებმა, არამედ პროლეტართა მასსამ, უდრეკი ნების-ყოფით რომ მთავრობამ მიაღწიოს დიად მიზნებს. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ბელაკუნმა სთქვა, რომ ამ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო უნგრეთის, არამედ მთელი მსოფლიო პროლეტარიატისთვის. მსოფლიო პროლეტარიატს სათავეში უდგას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. მოისმინა რა რუსეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობის სალამი, უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთს უგზავნის ძმურ სალამს. ბელაკუნმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა. გაუმარჯოს უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურას. კრების ბოლოს რუმინელმა ჯარისკაცმა აუწყა, რომ რუმინიის წითელი ჯარის გალაშქრება რუმინიაზე, რათა ბოიართა და მეფეთა ბატონობა დაამხოს. უნგრეთის ყველა კუთხებიდან მოდის ცნობა, რომ ყველგან სიწყნარე და წესრიგია. სოციალურ მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გამოსცა დადგენილება, რომ ყველა ქარხნის და ფაბრიკის პატრონებმა განაგრძონ წარმოება. ყოველგვარი დაყოვნება მუშაობაში ჩაითვლება დ ნაშაულად და დამნაშავეს რევოლიუციონურ სასამართლოს გადასცემენ. გადასწყვიტეს შეადგინონ პროლეტართა წითელი ჯარი და დაითხოვონ პოლიცია.

**მოსკოვი,** მარ. 25. მოკავშირეთა მიერ ჰუნგრეთში დაპატიმრებული რუსეთის კომისია, რომელიც სამხედრო ტყვეებზე ზრუნავდა უნგრეთის საბჭოთა მთავრობამ გაანთავისუფლა. გუშინ კომისია ბუდაპეშტში ჩამოვიდა, ბელაკუნი იუწყება ამას და ითხოვს გაანთავისუფლონ მოსკოვში დაპატიმრებული უნგრეთის კომისია. უნგრეთში სრული მშვიდობიანობაა. უნგრეთიდან წესიერად მოდის მოსკოვში რადიო.

## ქრონიკა

◆ **დახმარება ქართველ ლტოლვილებს.** ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის თავმჯ. ჩიკვაიძემ ინახულა მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგი ვ. გელეიშვილი და სთხოვა ს. ალაგირის 213 კომლ ლტოლვილთა დასასახლებლად 700 დესეტინა. მიწადმოქმედების სამინისტრომ ხსენებულ ლტოლვილთათვის სიღნაღის მაზრაში გადაიდო 700 დესეტინა. მათი გადმოყვანა მარუაშვილსა და ჩიკვაიძეს მიენდო.

### რკინის გზის სასურსათო საბჭოში

◆ **დათხოვნილი სომეხი-მოსამსახურენი.** საქართველოს რკინის გზათა სასურსათო საბჭომ დაადგინა, მიიღონ ისევ სამსახურში დათხოვნილი სომეხი მოსამსახურენი, თუ თავისუფალი ადგილები აღმოჩნდება თუ არა და მისცენ მათ სალიკვიდაციო ჯილდო.

◆ **შტატების შემცირება.** რკინის გზის სასურსათო საბჭომ მოკლე ხანში გაზრახული აქვს, თანახმად საერთო კრების დადგენილებისა, მოახდინოს შტატის შემცირება.

◆ **საბალოსნო სკოლა.** რკინის გზის სასურსათო საბჭომ დაადგინა თბილისის საბალოსნო სკოლა აიღოს იჯარით 3 წლით 40,000 მ. წელიწადში.

◆ **კურსები მოზრდილთათვის.** რკინის გზის სამოსწავლო განყოფილების გამგეობამ დაადგინა გახსნას ყვირილის რკინის გზის სასწავლებელთან კურსები უფროსთათვის.

◆ **ქურდობა.** 25 მარტს საღამოს 9 საათზე ნ. ანანოვის ბინიდან ბოროტ-გამზრახველებმა 10,000 მ. ღირებული სხ. და სხ. ძვირფასი ნივთები მოიპარეს.

◆ **ბოროტ-მოქმედის მოკვლა.** 25 მარტს საღამოს 8 საათზე მე-9 კომისარიატის უფროსი მილიციონერ წერეთელმა კიროჩნის ქუჩაზე დაატუსაღა ყაჩაღი ა. მანუკიანი, გზაზე ყაჩაღმა გაქცევა დააპირა მილიციონერმა ესროლა და იქვე მოჰკლა.

◆ **თავდასხმა.** 25 მარტს საღამოს 11 საათზე ელისაბედის ქუჩაზე მიმავალ ექიმ მონინს თავს დაესხა 3 შეიარაღებული პირნი, და სიკვდილის მუქარით მას 20,000 მან. წაართვეს.

◆ **სურსათი სომხეთისათვის** სომხეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ამ დღეებში გუმბრში 24 ვაგონი ბრინჯი, 3 ვაგონი სამეურნეო იარაღები და რამოდენიმე ვაგონი ფქვილი მიუღიათ.

◆ **საინფორმაციო ბიურო** სომხეთის მისიამ საქართველოში დაადგინა მისიასთან საინფორმაციო ბიურო დაარსოს.

◆ **ერობის მუშაობა.** თანახმად მიღებულ ცნობებისა სამაზრო ერობები საქართველოს რესპუბლიკაში უკვე იბარებენ საქმეებს და ქონებას ყოფილ სამხედრო ბეგრის საკრებულოებისას, რომელიც უკვე გაუქმებულ ირიან.

◆ **სატელეგრაფო მოძრაობა.** გენ. კვინიტაძე დეპეშით სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება ახალციხე-აბასთუმანს შუა სატელეგრაფო მოძრაობის აღდგენის შესახებ.

◆ **ქალაქს გარე მიწები.** მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა ნაწილმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილება 23 თებერვლის 1918 წლის ჯერჯერობით ძალაში რჩება ასე, რომ ყოველგვარი ხელშეკრულებანი ქალაქს გარეთ მდებარე მიწებზე აკრძალულია.

◆ **თბილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება 29 მარტის სხდომაზე გამოტანილი.** ვინაიდან ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა ნაწილის მიერ გამოცხადებული გაფიცვაა. ა) სრულიად უმიზნოა და მიმართულია დემოკრატიულ თვითმართველობის წინააღმდეგ, რომელმაც ჯამაგირებიც მოუმატა მოსამსახურეთ და უკვე მისცა მათ განსაზღვრული დაპირებანი დარჩენილი ჯამაგირების დარიგების შესახებ. ბ) რომ ეს გაფიცვა უარყოფილია მუშათა ავტორიტეტულ ორგანიზაციის პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ, როგორც ანტიდემოკრატიული, საბჭო ადგენს: 1. მიეცეთ გაფიცულთ წინადადება—შეუდგნენ თავისს მოვალეობის ასრულებას არა უგვიანეს 27 მარტის დილის 9 საათისა. 2. ვინც ამ დროსათვის არ გამოცხადდება, ჩაითვალოს სამსახურიდან გასულად თავისი სურვილით. 3. საავადმყოფოებში და ბარაკებში მომუშავენი კი თუ ამ ვადაზე არ შეუდგებიან მოვალეობის ასრულებას, მიცემულ იქმნან პასუხის გებაში. ქალაქის გამგეობა ამ დადგენილებას აცხადებს მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

◆ **დახმარება იურიდიულ საზოგადოებას.** ქართულ-იურიდიულ საზოგადოების გამგეობამ თხოვნით მიჰმართა იუსტიციის მინისტრს რათა ხსენებულ საზოგადოებისათვის დახმარება აღმოეჩინა, მინისტრმა თხოვნით მიჰმართა მთავრობას ნება დართოს მას გადასცეს ხსენებულ საზოგადოებას მთავრობის დადგენილებით სხ.-და-სხ. ბეჭდვითი საქმისათვის იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში გადადებული 50,00„ მ. კრედიტი.

◆ **გამოძიების დაჩქარება** იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება მოახდინა რათა სათანადო დაწესებულებების მიერ ყოველ-გვარი ზომები იქმნას მიღებული ბოროტ-მოქმედებათა გამოძიებისა და სასამართლოსათვის გადაცემის დასაჩქარებლად.

◆ **საქართველოს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის განცხადება.** აცხადებს, რომ მთხოვნელებს იგი მიიღებს სასახლეში ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით ნაშუადღევის 1 ს.-დან 2 ს.-დე. შემოსავლელი მარჯვენა მხრის კარებიდან.

◆ რედაქციამ მიიღო იოსებ იმედაშვილის თხზულება „ქორწილი“ ალეგორია სამ სანახაობად. წიგნი სუფთად არის გამოცემული ავტორის სურათით. ჰღირს ხუთი მანეთი.

◆ **„კავკასიის ქალაქი“** გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო „კავკასიის ქალაქი“ № 3 (წელიწადი მეორე). ფასი 3 მან. შინაარსი: ქართულად 1) ზ. ნანეიშვილი—დამოკიდებულობა ცენტრისა და ადგილობრივ ორგანოებთა შორის (გაგრძელება). 2) გ. თუმანოვი მცირე ერობა და სახალხო განათლება (თარგმანი), 3) ს. რობაქიძე—საშკოლო აღმშენებლობა (გაგრძელება), 4) დ. ონიაშვილი—ერობის ბიუჯეტი, 5) ი. ქურდიანი—როგორ უნდა მოეწყოს აგრონომიული დახმარება ერობაში, 6) ქრონიკა: ქალაქთა თვითმართველობები, ერობათა თვითმართველობები. რუსულად: 1) ა კალიუჟნი—კანტროლის ორგანიზაცია საზოგადოებრივი დაწესებულებებში (დასასრული), 2) 2) პსკოვიჩი—საერობო მიწების შეფასება (დასასრული), 3) გ. თუმანოვი—მცირე ერობა და სახალხო განათლება, 4) სოკოლოვი—ერობის საშუამავლო მოღვაწეობა, 5) მ. ჟადანოვი—საქართველოს რესპუბლიკის გზების გეგმის განვითარება (დასასრული), 6) ნ. კონიევი—საერობო საქალაქო ინსტიტუტი, 7) ვ. იანოვიჩი—ერობათა წარმომადგენ. პირველი ყრილობის შესახებ.

◆ **კავკასიის მცირე წლოვან ტუსალთა გამასწორებელ კოლონიის საზოგადოებაში,** კვირას მარტის 33-ს შუადღის 12 საათზე, სასამართლო დაწესებულებათა შენობაში იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორის გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა ხსენებულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც მოისმინა საზოგადოების მოქმედების 1918 წლის ანგარიში, რის შემდეგ კრება გადადებულ იქმნა. გაგრძელება დანიშნულია კვირას, მარტის 30-ს, ნაშუადღევის 1 საათზე. ეს კრება, როგორც წინა კრების გაგრძელება, კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა.

◆ **საპყრობილეთა ინსპექციის ბედი.** თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა ა. ს. გელაზარიშვილმა მოხსენება წარუდგინა იუსტიციის მინისტრს იმის შესახებ, რომ სასურველი არ არის საპყრობილეთა ინსპექციის გაუქმება და მისის ფუნქციების გადაცემა სასამართლო პალატის პროკურორისათვის, როგორც ეს განზრახული იყო მთავრობის მიერ. პროკურორის მოხსენება სამინისტროს სადასტურო დასკვნით წარედგინება მთავრობას.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი.** რუსეთის ბატონობის დროიდან დარჩა სამი—ერთი მეორეზე დამოუკიდებელი—ტელეგრაფი: მთავრობის, სახაზინო რკინის გზის და კახეთის რკინის გზის. ამ ტელეგრაფებს აქამდის შერჩათ თავიანთი სამმართველოები, მოსამსახურეთა ძველი შტატები და სხვ., რაც იწვევს ხაზინისთვის აუტანელ ხარჯებს. ამ ნაკლის გასასწორებლათ თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაზე, რათა ყველა ეს ტელეგრაფები გაერთიანდეს და ერთ უწყებას გადაეცეს.

◆ **გზატკეცილების მუშათა თხოვნა.** მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობამ შემდეგის შუამდგომლობით მიმართა შრომის მინისტრს: ვინაიდან დაკმაყოფილებულ იქმნენ შარაგზის მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირების მომატებით, რის შესახებაც აღძრული იყო შუამდგომლობა ჯერ ისევ მარიამობისთვეში და შრომის მინისტრის საშუალებით შარა გზათა მუშების დელეგატთა პირველ ყრილობის მიერ დეკემბერში, ცენტრალ გამგეობამ დაჰკარგა რა სრული იმედი, ამ საკითხის გადაწყვეტის საქმეში დადებითად და ლიანდიგის მუშათა და მოსამსახურეთა დაჟინებითი მოთხოვნილებით, რომელნიც იღებენ 300 მან. თვეში ჯამაგირს და სულს ღაფავენ გაჭირებაში, გადაწყვიტეს შეაჩერონ ყოველივე მუშაობა გზებზე და გამგეობაში ამა წლის 1 აპრილიდან, ვიდრე მათ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

**თბილისის მესამე შემნახველ-გამასესხებელი ამხანაგობის გამგეობა** იწვევს ყველა ამხანაგობის წევრებს საზოგადო კრებაზე დანიშნულ ხუთშაბათს 27 ამ თვეს ნაშუადღევის ოთხს საათზე, მუშათა კლუბში, ყოფილი სასტუმრო „ბომონდის“ შენობაში ელისაბედის ქ. № 2. კრების მიზანია განხილვა წარსული ანგარიშებისა და მომავალი მუშაობის გათვალისწინება.

◆ მის უწმიდესობას სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქს სადარბაზოდ ეახლა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან ლ. გ. ევანგულოვი.

## პარტიული ცხოვრება

**სტუდენტთა კრება.** პარასკევს, 28 მარტს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა კრება. განსახილველია საყურადღებო საკითხები. ამხანაგებს ვსთხოვთ დაესწრონ.

ერ.-დემ. სტუდ. საუნივ. ბიურო.

## სამხატვრო ქრონიკა.

**თბილისის დრამატიული დასის მოგზაურობა.** ამ მოკლე ხანში დრამატიული დასი მი[illegible] საქართველოში [illegible] გასამართავად. დასის შემადგენლობა: ქ-ნნი ჩხეიძე, ამირაჯიბი, ჯავახიშვილი, ბ-ნნი ზარდალიშვილი, არაბიძე, ბარველი, ფანიაშვილი, ჯაფარიძე, გურული, გვარაძე, თარალაშვილი და სხვა. დასი ეწვევა შემდეგ ქალაქებს; გორს, ხაშურს, ზესტაფონს, სამტრედიას, სენაკს, ფოთს, ბათუმს, ოზურგეთს, ლანჩხუთს, ჭიათურას, სოხუმს და გუდაუთს. რეპერტუარი: სიო ჰანტურიშვილის „ბურუსი“. ფოსის—„დამნაშავეა“. ენგელის „ზღვასთან“. მთავრობამ დასს დაუთმო ცალკე ვაგონი.

—

**ლეკურის კურსები.** მსახიობი ელო ანდრონიკაშვილი 1-ლი აპრილიდან მე-7 დე გიმნაზიის შენობაში ხსნის ლეკურის კურსებს.

—

სამშაბათს 1 აპრილს სახელმწიფო თეატრში მერვე გიმნაზიის (ყოფილი სასულიერო სემინარია) ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ იმართება საინტერესო წარმოდგენა. დაიდგმება „რომეო და ჯულიეტა“ და „სოფლის პატიოსნება“ ალეშკოსა და საბანეევის მონაწილეობით.

◆ **ქართველ მწერალთა კავშირის საბჭომ** გადასწყვიტა ამ მოკლე ხანში გაუმართოს საჯარო სალიტერატურო საღამოები ჩვენ დამსახურებულ მწერლებს-პოეტებს, ბელეტრისტებს, დრამატურგებს—რისთვისაც მათ დაგზავნათ კიდეც სათანადო ბარათები.

— იმავე საბჭომ დაადგინა ამ გვარივე პატივსაცემის საღამო გაუმართოს სომხის განთქმულ პოეტს ოვანეს თუმანიანს, რომელსაც წელს დაბადებიდან 50 წლიწადი შეუსრულდა.

## პროვინციის ცხოვრება

### დუშეთი.

დღითი დღე ხშირდება დაცემა მგზავრებზე როგორც საქართველოს სამხედრო გზაზე, ისე სოფლებში. დაძრწიან ყაჩაღების ბრბოები და აწუხებენ მშვიდობიან მცხოვრებთ. მათთან ბრძოლა შეუძლებელი ხდება. როცა გაზაფხულდება აუტანელი შეიქმნება ამ მაზრაში სიარული და ცხოვრება. მცხოვრებნი იმყოფებიან მათ მუქარის ქვეშ.

### ანანური.

19 მარტს ანანურის მახლობლად 3 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი დაეცა ნიკიფორ ფშენინის სახლს. ძარცვის დროს ფშენინმა მოჰკლა მძარცველი გიორგი ბრაჭული. ზომების მიღების შემდეგ შეიპყრეს მათი ამხანაგი შიო ბალიშვილი. დანარჩენის შესაპყრობად ზომაა მიღებული.

### ქუთაისი

**აგრონომიულ კომისიის სხდომა.** 20 მარტს ერობის გამგეობის ბინაზე შესდგა აგრონომიული კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ქუთაისის საერობო წევრნი: ვ. ფალავანდიშვილი, ერობის ხმოსანი: ი. ქუთათელაძე, გრ. ნუცუბიძე და დუნდუა. სხდომამ ფალავანდიშვილის თავმჯდომარეობით დაანაწილა მაზრა აგრარულ რაიონებად და გამოიმუშავა მისი ფასი. მაზრის აგრარულ ნაწილად დანაწილება საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება ერობის ხმოსანთა ყრილობას, რომელიც 28 მარტს შესდგება.

**ეკლარის ქვასატეხში.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ 20 მარტის სხდომაზე დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობის წევრს ა. ლანდიას ქალაქის ინჟენერის და ეკლარის აგარაკის გამგესთან ერთად დაათვალიეროს ადგილობრივ ეკლარის ქვასატეხი და წარმოადგინოს პროექტი ქვასატეხის იჯარით გაცემის შესახებ.

**საქონლის ჭირთან ბრძოლა.** რაჭის მაზრის კომისარი ატყობინებს ქუთაისის მაზრის ერობას, რომ საქონლის ჭირმა რაჭაში საშინელი სახე მიიღო. სოფ. ქედში ჭირისაგან მრავალი საქონელი დაიხოცა. ასეთივე სამწუხარო ცნობებია ლეჩხუმიდან. ერობამ რაჭის მაზრაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად გაგზავნა შრატი. ამ მოკლე ხანში ლეჩხუმშიც გაგზავნიან შრატს.

**შრატის დასამზადებელი სადგური.** განზრახულია ქუთაისის შრატის დასამზადებელი სადგურის საშუალებათა გასაძლიერებლად შემოიღონ ერთი ლიტრა (2 ნახევარი გირვანქა) შრატზე 250 მანეთი გადასახადი.

## სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის განმარტება

გაზ. „საქართველოს“ № 63-ში დაბეჭდილია სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა საბჭოს საინფორმაციო ბიუროს ცნობა, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: საკითხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების მომატებისა „მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ, გადაეცა სახელმწიფო კონტროლიორს ბ. გოგიჩაიშვილს დასკვნისათვის. უკანასკნელმა ამ საკითხს უარყოფითი დასკვნით უპასუხა“.

ეს ცნობა საინფორმაციო ბიუროსი სინამდვილეს არ შეესაბამება. თავის დასკვნაში, რომელიც 8 მარტს № 677-ით გაგზავნილია მთავრობის საქმეთა სამმართველოში, კონტროლმა ჯამაგირების გადიდებაზე თანხმობა გამოსთქვა და აცნობა მთავრობას, რომ, რათა ეს გადიდება ფინანსიურად შესაძლებელი შეიქნეს, საჭიროა მოხელეთა რიცხვი რესპუბლიკაში შემცირებულ იქნეს და ამ გზით დაზოგვილი ფულით გაუდიდდეს მოხელეებს ჯამაგირები.

მდივანი სახელმწიფო კონტროლის კანცელარიისა პ. ზუმბაძე

## მოწოდება შავი ზღვის სანაპირო გუბერნიის მცხოვრებლებისადმი.

სოხუმიდან სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ქ. ნოვოროსია და შავი ზღვის სანაპირო გუბერნია სურსათის კრიზისს განიცდის. არ იშოვება პური. ყუბანის საოლქო მთავრობა რომელმაც მათ მტკიცე ფასებში პურის მიყიდვა აღუთქვა, თვითონ საჭიროებს სურსათს. ყუბანის საოლქო მთავრობას ამიტომ არაფერი გამოუგზავნია და თებერვალში კი სრულიად უარი განაცხადა ფქვილის გამოგზავნაზე. ამ დროებით ყუბანის ოლქიდან პურის მიღებისთვის ყოველივე ზომები მიღებულია სასურსათო გამგეობის მიერ. ამიტომ მე საჭიროდ დავინახე შავი ზღვის ოლქიდან პურის გატანა აღიკრძილოს. პურისა და სხვა სურსათის შამოტანა არავის არ ეკრძალება. საჭიროა მხოლოდ სასურსათო გამგეობაში სურსათის შემოსატანად განცხადება შეიტანოს მსურველმა. შემოტანილ საქონელზე ყოველგვარი გადასახადები მოსპობილია.

შავი-ზღვის სანაპირო გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი

ვოლკოვი.

## ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვა

გაფიცვა მიმდინარეობს მშვიდობიანად. ქალაქში არავითარი ექსცესები არ მომხდარა. მოსამსახურეთა უმრავლესობა მოითხოვს დაკმაყოფილებას ქალაქისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვას გააგრძელებენ. გაფიცულნი არიან საავადმყოფოების, კანცელარიის და ბუღჰალტერიის მოსამსახურენი. ადმინისტრატიული მოსამსახურენი თავს იკავებენ. სამშაბათს, 25 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის საბჭოს შენობაში შესდგა კრება ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო. მოსმენილი იყო დამფუძნებელ კრების ფინანსიურ კომისიის წევრის ბ-ნ თოფურიძის მოხსენება. შემდეგ გარჩეული იყო მოსამსახურეთა გაფიცვის მიზეზები და მათი აუტანელი მატერიალური მდგომარეობა. ქალაქის წყალსადენის მუშებმა 24 მარტს გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ იგინი არ გაიფიცებიან. ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვაში ბევრი არ მიემხრო მათ. განსაკუთრებით სასურსათო განყოფილებების მოსამსახურენი. იმედია, გაფიცვის ლიკვიდაციას მალე მოახდენს ქალაქის გამგეობა.

## მუნიციპალური ცხოვრება

### მილოცვა.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სახელზე შემდეგი სალამი მოვიდა თელავიდან: თელავის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა გულწრფელ სალამს უძღვნის ყრილობას, უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

თელავის ყრილობის თავმჯდ.

ბ. ჭუმბურიძე.

**გუმბრის ქალაქის საბჭოს ცნობა.**

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს გუმბრის ქალაქის გამგეობამ აცნობა, რომ თანახმად გუმბრის ქალქის საბჭოს დადგენილებისა, ეკონომიურის მხრივ კავკასიის ქალაქთა გაერთიანების საქმეს თუმცა დიდ მნიშვნელობას აძლევს, მაგრამ რადგანაც სომხეთის რესპუბლიკაში ჯერ არ არი დაარსებული ქალაქთა კავშირი, ამიტომ 16 მარტამდე ყრილობაზე გამოგზავნა რწმუნებულისა არ ძალუძს.

## ქართული წარმოდგენებისათვის

აგერ ერთი თვეა, რაც სახელმწიფო თეატრში ქართული წარმოდგენების მართვა შესწყდა. იმავე დროს რუსული ოპერა, რუსული დრამა, სხვა და სხვა მინიატიურების დასი და ასე გასინჯეთ, ინგლისური წარმოდგენებიც კი უხვად იმართება. ნუ თუ ეს ნორმალური მოვლენა არის?—თავისუფალ საქართველოში, საქართველოს დედა ქალაქში, საქართველოს სახელმწიფო თეატრში ერთი ქართული დასი მაინც არ მუშაობდეს?.. ჯერ აქამომდე პრესას ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. თითქო ყოველივე ეს ასეც უნდა მომხდარიყოვო. იყო მხოლოდ საქრონიკო შენიშვნა, რომ წარმოდგენები შესწყდაო.

საზოგადოების აზრი კი აღშფოთებულია და ათასი ხმები დადის, ვითომც სახელმწიფო თეატრის კომისარმა აკრძალა ქართული წარმოდგენები იმისთვის, რომ დაიწუნა დასის შემადგენლობა, რეპერტუარი და მათ მიერ საქმის წაყვანაო. ამაზე სხვები ამბობენ, რომ ამის უფლება არ უნდა ჰქონოდა თეატრის კომისარს, გემოვნების მონოპოლია ერთ კაცს არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული. ხელოვნების საქმის შემფასებლად ერთი კაცი არა კმარა, უთუოდ ავტორიტეტულ კოლექტივმა უნდა დასდვას თავისი მსჯავრიო.

ეხლა კი კერძო ცნობებით ვიცით, რომ წრევანდელ სეზონის მწარმოებელთ—„მსახიობთა კავშირმა“ უმაღლეს მთავრობას მიჰმართა და მისგან გამოელის საბოლაო პასუხს.

სეზონი კი მაინც არა გვაქვს და ეტყობა ჩვეულებრივ წვრილმან კინკლაობაში საქმე იღუპება.

საჭიროა ფართო საზოგადოებამ გაიგოს საქმის გარემოება. ჩვენ დროს, სიტყვის თავისუფლების ხანაში, არაფერი არ უნდა კეთდებოდეს უჩუმრად. რაც უნდა მტკივნეული იყვეს საზოგადოებრივი მოვლენა, მას გამომჟღავნება უნდა, საჯარო განხილვა და შემდეგ შეფასება. ამისათვის საჭიროა საქმესთან ახლო მდგომ პირებმა, როგორც სახელმწიფო თეატრის კომისარმა, აგრეთვე მსახიობთა კავშირმაც გვამცნონ ყოველივე დაუფარავად და პირუთვნელად, რომ გაფანტულ იქმნეს სხვა და სხვა ხმები, რომლებიც საზოგადოებაში ვრცელდება. საჭიროა მთავრობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს წრევანდელი სეზონის საქმეს, ყოველივე დაწვრილებით გამოიკვლიოს და კვლავ უსეზონოთ არ დასტოვოს ჩვენი დედა ქალაქი.

N.

## საქართველო-სომხეთის საზღვრებისთვის

ქართველთა და სომეხთა შორის ბრძოლა ახალი ამბავი არ არის, ორი ათასის წლის წინათაც სომხეთი არ უსვენებდა საქართველოს. დასავლეთ აზიაში ჯერ ხომ მაკედონია განძლიერდა, მერე სირია და ბოლოს პართონი—არშაკიდები. მათ შემდეგ ბურთი და მოედანი ბიზანტიასა და სპარსეთს დარჩა. ეს ორი ბუმბერაზი ხომ წამ და უწუმ იბრძოდნენ, შუაში სომხეთი იყო მუდამ მომწყვდეული და ბრძოლის დროს ხან იქით აწყვეტებდნენ, ხან აქეთ: ხან ერთს მიემხრობოდა, ხან მეორეს. კონსტანტინე დიდის დროს სომხეთმა პატარა სული მოიბრუნა დიდის თრდატ მეფის მხნეობით და თრდატის დამეგობრებას ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა გამარჯვებული ისა რჩებოდა, ვისი მოკავშირეც თრდატი იყო. წინა დროებში საქართველო სპარსეთს ემხრობოდა ხოლმე ხშირათ და ამ ძველი ანგარიშის გასასწორებლათ თრდატმა დავიდარაბა აუტეხა საქართველოს მეფეს მირიანს. მირიანმა კონსტანტინე დიდს მიმართა გვიშუაკაცე და ბოლო მოუღე სომეხ-ქართველთა შორის ბრძოლასაო. კონსტანტინე დიდს იმა ესეთი კაცთმოყვარული შეგნება და ასე გაუთავა საქმე: „რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით და მიერთვიან რახსსა (არაქსი), ესე ქვეყანანი თრდატის კერძად დაჰყარნა, და რომელისა ქვეყანის მდინარენი ჩრდილოთ ჰდიან და მიერთვიან მტკვარსა—მირიანის კერძად დაჰყარნა“.[1] მას აქეთ აგერ ათას ექვსასი წელი გავიდა და ბოლო არ მოეღო უსამართლო ბრძოლასა.

გოგჩის ტბის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით აზიდულია მთა ბოდოლისა, ანუ ბამბავისა; ამ მთის გაგრძელება ჩრდილო-დასავლეთით არის მთა აბოცისა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ქედი ვიუმიურდიუ, მთები—მაიმეხი, მარადიჯა, სიოუხ-ბულახი და ქედი შაადაღი გოგჩის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აი ის მთა-ქედები, რომელნიც საზღვრათ უჩინა კონსტანტინემ თრდატ-მირიანს. მხოლოთ ბრმა თვალით და გონებით უარჰყოფს ამ ბუნებრივს განსაზღვრასა — ისტორიულათაც და გეოგრაფიულადაც. ამ მთა-ქედებიდგან გამომდინარებენ მაშავერი თავის ტოტებით (ბამბავი, ღრის წყალი და სხ.). განა არ იციან, თვალებს რათ ხუჭავენ, რომ სწორეთ ზემო აღნიშნულ სამზღვრამდე ვრცელდებოდა საქართველოს სამეფო და ერეკლე მეფეს ხელში ეპირა და ამ სამზღვრამდე ჩაბარა რუსეთს თვისი სამეფო *) საყარაულო ორთნავამდე? განა XIV, XV, XVI, XVII საუკუნოებში და მეთვრამეტე საუკუნის დამდეგსაც საქართველოს ხელში არ იყო ლორე, ბამბაკი და აბოცი-ტაშირი?

გახიხილეთ ბატონებო ვახუშტი ბატონიშვილის, ვიპერტის. ანდრის ატლასები და ნახავთ, რომ საქართველოს სამეფოს სამზღვარი სწორეთ იმ მთა ქედებს მისდევს როგორც თრდატი და მირიანის მორიგდნენ.

საქმე იმაშია, რომ საქართველოს მეფეები ლორის და ბამბაკის (ბოლოს ბორჩალოს) მოურავებს ნიშნავდნენ თავის არჩევით და ამ მოურავებს სომხის მეისტორიე ბერები სომხეთის მეფეებს უწოდებდნენ. ორბელიანებმა რომ საქართველოს მეფეებს უღალატეს არა ერთხელ, მათ მაგიერათ მხარგძელნი დაადგინეს, მაგრამ რა გამოვიდა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უძველესი ბუნებრივი განსაზღვრა უცილობლად აღდგენილ იქნება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ.

მოვალენი არიან სომეხთა ერის გულშემატკივარნი ეს განიცადონ და დარწმუნდნენ, რომ ქართველს ერს ცოცხალის თავით არ ძალუძს დასთმოს თვისი სამეფოს ბუნებრივი, უძველესი განსაზღვრა.

დეკანოზი პ. კარბელაშვილი.

[1]) იხ. ქ.-ცხ. 1, გვ. ც ყ. ისტ. თეიმურაზ ბატონიშ. 232.

(* იხ. რუქა ბურნაშოვისა,

## აზერბაიჯანი

**ანტი-სომხური პროპაგანდა**

სომხეთის ფრაქციის შეკითხვაზე, აზერბაიჯანის პარლამენტისადმი განჯის გუბერნიაში სომხეთის ანტი-პროპაგანდის გავრცელების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მის სამინისტროში ამგვარი ცნობები არ მოსულა. და ამ ცხობების შეკრების და დადასტურებისათვის შესაფერი ზომებია მიღებული.

**აზერბაიჯანის დელეგაცია**

მინისტრ-თავმჯდომარე ხან-ხოიელს „ნავრუზ ბაირამის“ დღესასწაულზე სტამბოლიდან აცნობეს, რომ აზერბაიჯანის დელეგაციას ნება დართეს საზავო კონფერენციაზე პარიზს გამგზავროს.

**საერთო განწყობილება**

ჩრდილო კავკასიაში და დაღესტანში საერთო აღფრთოვანებაა. მთიელთა მთავრობა დიდ ხალხს იკრეფს თავის გარშემო.

**მთიელთა მთავრობის კონფლიქტი გენერალ დენიკინთან**

მოხალისეთა ჯარმა შესწყვიტა მოლაპარაკება მთიელთა წინააღმდეგ.

პირველ ბრძოლაში მოხალისენი დამარცხდნენ.

## სომხეთში

**სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხი ინგლისის პარლამენტში.**

სტამბოლის გაზეთი „ჟღოღურდის არძაგაკი“ გადმოგვცემს:

„სომხეთის დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარებულია ინგლისის მიერ. ინგლისის წარმომადგენელს სტამბოლში გენ. უილსონს დავალებული აქვს სომხეთის დამოუკიდებლობის შუამდგომლობა მოკავშირეთა შორის, რათა მათაც აღიარონ სომხეთის დამოუკიდებლობა.

სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხმა ინგლისის პარლამენტში დიდი დემონსტრაცია გამოიწვია. პარლამენტის ბევრმა წევრმა სიტყვები წარმოსთქვეს სომხეთის სასარგებლოდ, რომელშიაც აუწყებდნენ რომ თანამედროვე ომში სომხეთის ერი მეტად დაზარალდა. ყოფილ პრემიერმა ასკვიტმა თავის სიტყვაში გადმოთვალა ის ფაქტები, რომლითაც დიდი სამსახური გაუწია მოკავშირეებმა სომხეთის ხალხს. მხურვალე აპლოდისმენტების შემდეგ ასკვიტმა წინადადება შეიტანა პარლამენტში რომ ამიერიდან სომხეთი ოფიციალურად იცნონ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომლის ფარგლებში შევა კილიკიაც და მალე გაერთიანდება სრულიად სომხეთი. ყველა დეპუტატებმა ასკვიტის სიტყვას თანაუგრძნეს.

დასასრულ მთავრობის თავმჯდომარემ ილაპარაკა ოსმალეთის იმ სომხების დარბევის და აწიოკების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთის რეჟიმში.

პარლამენტის სხდომაზე, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე საათს, პარლამენტის წევრებს ლაპარაკი ჰქონდათ მხოლოდ სომხეთის საკითხის შესახებ.

**სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენცია პარიზში.**

სომხეთის ნაციონალურ დელეგაციის გარდა დღეს პარიზში იმყოფებიან სომხეთის წარმომადგენელნი, რომელთაც კონფერენცია აქვთ მოწვეული. ამ კონფერენციაში მონაწილეობს 36 დელეგატი. მათ შორის არიან: სტამბოლელი დელეგატები: ეპისკოპოზი დურიონი, ექიმები ბარსელიანი და ტერაკოფიანი, ეგვიპტიდან: წურიბი და ტექსიანი; ბულგარეთიდან: საიანი და გინდულიანი; სპარსეთიდან: ხან მასიანი და ვარადიანი, ინგლისიდან: პოლოს ნუბარი.

ამიერ-კავკასიის ოსმალეთის სომხებისაგან: ლ. ბანტი, ვ. პაპაზიანი და ტერზემიანი, შვეიცარიიდან: ნორტაუნიანი, იტალიიდან: ტერ-სტეპანიანი, პარიზიდან: ხან ბელაგიანი. ნერსესხანი და სხვანი.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**26 მარტი.**

**კიევი** მარტის 26. უკრაინის ეროვნულ წიგნთსაცავმა შეიძინა აკადემიკოს იკსნინიკოვის უკრაინაში საუკეთესო წიგნთსაცავი.

**კიევი** მარტის 26. განსაკუთრებული ეშელონით მოიყვანეს ბერეზოვკასთან წამოყვანილი მოკავშირეთა ტყვეები.

**სარაპული** მარტის 26. იჟევსკის, ფოტკინსკის და სარაპულის ქალაქის წარმომადგენლებმა სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოსთან ერთად გუშინდელ სხდომაზე დაადგინეს საადმინისტრაციო ცენტრათ ჩასთვალონ სარაპული.

**ბორტხოვი** მარტის 26. დასავლეთ არმიისთვის სურსათის დაგროვების კვირა სოფლებში დაიწყო გუშინ.

**მოსკოვი** მარ. 26. ატამანმა გრიგორიევმა გამოსცა ბრძანება სადაც ოდესის მოკავშირეთა არმიის მოხალისე ოფიცრებს წინადადებას აძლევს, დაყარონ იარაღი და წითელ ჯარს შეუერთდენ, რადგან მათ მომავალ წინააღმდეგობას არც მიზანი და არც ნაყოფი აქვს. ბრძანებაში, ატამან გრიგორიევი გარკვევით აღნიშნავს, რომ მარტის 29-ს აიღებენ ადესას, შემდეგ კი ყირიმს.

**№ ის არმიის შტაბი.** ვოლოჩინის მიმართულებით წითელმა ჯარმა დაიჭირა ვერაჟნია და ხელთ იგდო 20 ტყვიის მფრქვეველი. მტერი უკან იხევს.

**ადესა** მარტის 18. ქალაქის თავმა გენერალ დანსელმს მიმართა წერილით სადაც სთხოვს შიმშილის და შიმშილისგან გამოწვეულ აჯანყების ასაცდენათ მიაწოდოს ქალაქს 700 ტონი ფქვილი და 5000 ტონი ხორბალი.

**მოსკოვი** მარ. 21. მოსკოვის საბჭოს სხდომაზე სოსნოვსკიმ მოხსენება გააკეთა განთავისუფლებულ ოლქებში მოგზაურობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ გერმანელები ძარცვავდენ ხალხს. მუშებს განზრახ უსპობდენ ყველაფერს, რომ ამით აეძულებინათ ისინი წასულიყვნენ გერმანიაში. სამუშაო ხელფასი ძალიან მცირე იყო. ხელფასის სიმცირის გამო ყოვლად შეუძლებელი იყო თეთრი პურის ყიდვა, რომელიც გირვანქა მხოლოდ 1 მანეთი ღირდა. ამ საშინელებამ გამოიწვია ის, რომ 1915 და 1916 წ. წ. ვილნოში 30,000 მუშა სიმშილისაგან მოკვდა. ასეთ პირობებში საბჭოთა მოღვაწეთა ჩამოსვლას ერთგვარი პოლიტიკური და ეკონომიური აღორძინების მნიშვნელობა ქონდა.

**მოსკოვი.** მარტის 25. სოსნოვსკი ჰკიცხავს იმ პირთ, რომელნიც საბჭოთა მთავრობას მიეკედლენ და საქმეს აფუჭებდნენ. მაგრამ იყვენ იქ ნამდვილი მუშაკებიც გუბერნიის სახალხო მეურნეობის ერთმა კომისარმა 30 ადგილობრივ ტყავის ქარხნისაგან შეადგინა ტრესტი, რომელიც წითელ არმიისათვის ფეხსაცმელს ამზადებდა. სოსნოვსკი აღნიშნავს უდიდეს მნიშვნელობას ასეთი საინსტრუქტორო მატარებლებისას, რომელთა წყალობით აგიტატორი-ინსტრუქტორები მოწინავე ხაზებზე სოციალისტურ ლიტერატურას ავრცელებდნენ და აცნობდენ ჯარს ცენტრის საქმიანობას. სოსნოვსკის შემდეგ გამოვიდა რიკოვი, რომელმაც კრებას საინტერესო ცნობები აუწყა სამეურნეო იარაღის რაოდენობის, სათესლე ხორბლის დამზადების და მისი გლეხთათვის მიწვდენის შესახებ. საჭიროა ნახევარი მილიონი გუთანით. გაზაფხულზე გვექნება 80 ათასი გუთანი. გვჭირია 55 ათასი ფარცხი, აქედან ჩვენ შეგვიძლია ჯერ დავამზადოთ 35 ათასი ცალი. გვჭირია ნახევარი მილიონი ნამგალი, გვაქვს ორასი ათასი ცალი, მოსალოდნელია 400 ათასი ნამგლის დამზადება. რაც შეეხება სათესლე შვრიას, იგი დამზადებული გვაქვს სულ ორი მილიონი ფუთი. გვჭირია შვიდი მილიონი ფუთი. სათესლე ხორბალი გვაქვს სულ 200,000 ფუთი, გვჭირია 750,000 ფუთი; საგაზაფხულო ქვავი საჭიროა 150,000 ფუთი, დამზადებულია 120,000 ბახჩეულების სათესლის 80 პროც. დამზადებაა შესაძლებელი. წარსულ წელს სამეურნეო იარაღის საჭიროების მხოლოდ 10 პროც. იქნა დაკმაყოფილებული, წელს კი მიუხედავათ კრიზისის გამწვავებისა დაკმაყოფილებულ იქნება საჭიროების 50 პროც. ეს იმით აიხსნება, რომ ქარხნების უმრავლესობა შეუდგა სამეურნეო იარაღის დამუშავებას. მოსკოვის საბჭომ დაადგინა ადგილობრივ მიიღოს მონაწილეობა მოსკოვისთვის შეშის დამზადების საქმეში. მოსკოვის საბჭოს სახელით სახალხო კომისარიატი მიმართავს ხალხს მიაქციონ ყურადღება იმ მუშების სურსათით დაკმაყოფილებას, რომლებიც სათბობ მასალის დამზადებაზე მუშაობენ. უნდა იქნეს ზომები მიღებული, რომ მდინარეები გამოიყენონ გზათ სურსათის და სხვა მასალების გადასაზიდათ.

**კიევი**, 20 მარ. ალმ. კომიტეტმა კიევში გამოაცხადა 21 დან 26 წლამდე ბურჟუაზიის მობილიზაცია. განთავისუფლებულია მოწაფეები და ქალები. მიიღეს 15 პროც. რომლებიც მოვალე არიან 24 საათის განმავლობაში გამოცხადდენ კაზარმებში.

**მოსკოვი**, მარტის 22. მუშათა და გლეხთა თავდაცვითი საბჭომ დაადგინა: ის ქაღალდები, რომელიც საჭირო არაა საქმეებისთვის და დახეული ქაღალდები, რომელიც აღარ იხმარება უნდა დააგროვონ და არავითარ შემთხვევაში არ დასწვან.

**მოსკოვი**, არა ნაკლებ 30 ფუთზე დაგროვილ ქაღალდის შესახებ უნდა აცნობონ ადგილობრივ საბჭოსთან არსებულ უტილიზაციის განყოფილებას, რომელიც დაგროვილ ქაღალდს გადააგზავნის სადაც საჭიროა.

**სამხედრო ცნობა.** ლიდას მიმართულებით ბრძოლაა. პერმის მიმართულებით წითელმა ჯარმა დაიჭირა ლომინი.

**სამხრეთის ფრონტი.** იუზოვის მიმართულებით სვენმა ჯარმა დაიჭირა (?) იუზოვის რაიონში ხელთ ვიგდეთ ჯავშნიანი მატარებელი, 25 ტყვიისმფრქვეველი და 1 ზარბაზანი. ბაიამუტის რაიონში ჩვენ დავიჭირეთ სად გური კრივოტონელი. ველიკოკნიაჟის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. მენზელინის მიმართულებით ჩვენმა მოწინავე ჯარმა მოწინააღმდეგე შევავიწროვეთ კრასნოუფიმის რკინის გზის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ასინის რაიონში ჩვენ ბრძოლით დავიჭირეთ რამდენიმე სოფელი.

**ნაუენი**, მარ. 25. ჩეხო-სლოვაკთა მთავრობა გადადგა.

**ცარიცინი**, მარ. 25 ვოლგის გაღმა მხარეში გაძლიერებული მუშაობაა პლანტაციების მოსაწყობად. ჰხდება სოფლის მცხოვრებთა რეგისტრაცია პლანტაციებზე სამუშაოდ.

## ბოლშევიკური ცნობები.

**სტოკჰოლმი**, მარტის 22. ინგლისის გაზეთების ცნობით აღმოსავლეთ ციმბირში სერიოზული აჯანყებები მოხდა. ბლაგოვეშჩენსკში, კრასნოიასკში და ამურზე მომხდარი აჯანყებები საბჭოთა მთავრობის აღსადგენათ იყო მიმართული. აჯანყებულებმა გააფუჭეს რკინის გზის ლიანდაგი და ხიდი. აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობდენ იაპონის ჯარები. აჯანყებულნი დღესაც იბრძვიან.

**პეტროგრადი**, მარ. 24, პეტროგრადში დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ უნგრეთში კომუნისტურ რევოლიუციის ამბავს. გაიმართა მიტინგები.

**ჩერნიგოვი**, მარ. 21. კოროსტენის რაიონში პოლონელი ლეგიონერები გადადიან უკრაინის [illegible] მხარეზე.

**ბუდაპეშტი**, მარ. 24. საბჭომ ყველა თეატრები მთელი ქონებით და კაბარეები საზოგადო საკუთრებათ გამოაცხადა. მომავალში საბჭოთა მთავრობა რეპერტუარს შეადგენს. ამ ორ კვირაში რევოლიუციონურ კლასიკურ ნაწარმოებს დასდგამენ. მოქმედებებს შუა წაიკითხავენ მოხსენებებს რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ.

**მოსკოვი**, მარ. 23. რუს კომ. პარ. უკანასკნელ დღის სხდომამ სოფლის მუშაობის შესახებ მოისმინა მოხსენება შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები სოფლათ კულტურულ გამანათლებელ მუშაობის, პროპაგანდის და სამხედრო საკითხებზე შემდეგ მოხდა არჩევნები პარტიის ც. კ. სარევიზიო კომისიისა, ლენინმა აღნიშნა მომენტის სიბნელე, რომელშიაც მოუხდა ყრილობას მუშაობა აღნიშნა, რომ მუშათა და გლეხთა წითელი არმია ყოველთვის ერთ სულოვანათ იცავდა რესპუბლიკას. შემდეგ აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციას, არა მარტო ჩვენი პარტიისთვის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისთვის, შემდეგ ლენინმა რ. პ. კ. ყრილობა დახურულათ გამოაცხადა, რომლის დროს შეასრულეს ინტერნაციონალი დასასრულ მოიხსენია უნგრეთის ძმები და გამოსთქვა თავისი ურყევი რწმენა რომ იმპერიალიზმი დამარცხდება და სოციალიზმი ყველგან გაიმარჯვებს.

**საფრანგეთის საზოგად. აზრი პოლონეთზე.**

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი პოლონეთის შესახებ ნათლადაა გამოთქმული „ჟურნალ დე ბაში“ რომელიც სწერს: ერთ ნახევარ საუკუნის განმავლობაში პოლონეთი გაძლიერებულ გერმანიზაციის და გარუსების ობიექტათ იყო გადაქცეული. პოლონეთი არა დროს არა ყოფილა მთლიანი, მაგრამ მცხოვრებთა შემადგენლობა უფრო აჭრელდა სხვა და სხვა ნაწილებში უცხო ელემენტების გავრცელებით. ძლიერ სახელმწიფოს შესაქმნელათ საჭიროა ზოგიერთ მოსული ელემენტების გადასახლება ეს არ იქნება უსამართლობა. პირიქით უსამართლობა იქნება, თუ გერმანიას დაუტოვებენ შემოერთებულ და გერმანელებით ძალით დასახლებულ ოლქებს. წერილი მოუწოდებს კონფერენციას ყველა ამას ბოლო მოუღოს.

**იტალია და ავსტრო-უნგრეთი.**

...(გაუგებარია). კვირას იწყება მეორე „გადამწყვეტი კვირა“ რომელიც ამავე დროს კრიტიკული იქნება რადგან მოსალოდნელია კონფერენციის სრული შეწყვეტა, იმიტომ რომ აზრთა სხვა და სხვაობა და უთანხმოება თან და თან იზრდებოდა და უმაღლეს წერტილს აღწევს. იტალიის დელეგაციამ არ დააჩქარა ოფიციალურათ უარეყო ყველგან გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ იტალია აპირებს კონფერენციას ჩამოშორდეს და სეპარატიული ზავი შეკრას თუ არ დააჩქარებენ ავსტრია უნგრეთთან მისი საკითხების გადაწყვეტას.

არ შეიძლება იმის უარის ყოფა, რომ კომისიების პრაქტიკული მუშაობა აქნობამდე ხალხთა ლიგის წესდებასთან იყო დაკავშირებული მაშინ, როდესაც საზავო ხელშეკრულებასთან პირდაპირ დაკავშირებულ საკითხებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. ორშაბათს კვლავ შეუდგებიან ლიგის წესდების გადასინჯვას და იმედი აქვთ, რომ სამშაბათს საღამოთი დაასრულებენ მუშაობას. როგორც სჩანს საერთო სხდომა წესდების მისაღებად არ შესდგება, თუმცა, როდესაც მის განხორციელებას დაიწყებენ, ავსტრალიას, იაპონიას, საფრანგეთს და სხვა ერებს, რომელნიც მოითხოვენ უკანასკნელ. (გაუგებარია) ცვლილებაში შეუძლიანთ უარჰყონ ის, რაც გაკეთებულია. საერთოდ ჯერ გადაწყვეტილი არაა წარმოდგენილი იქნება თუ არა საერთო სხდომაზე საზავო ხელშეკრულება, რომელშიაც შევა ლიგის წესდება, მანამდე, ვიდრე ზავის პირობებს გერმანელებს წარუდგენენ, რადგან უმთავრესად სახეში აქვთ საქმის დაჩქარება და ათთა საბჭოს ეშინია დაგვიანების იმ შემთხვევაში, თუ.. (გაუგებარია) საკითხების გარეშემო კამათი გაიმართა. საზავო კონფერენციის მონაწილეებმა კარგად უწყიან, რომ პრინციპიალურად ყველიფერი გადაწყვეტილია, მაგრამ მათ შეუძლიათ არ გაიზიარონ ზოგიერთი მუხლის განმარტება და მათი რედაქციის წინააღმდეგნი იყვენ. ფრანგული პრესა მოუწოდებს პროტესტი განაცხადონ ხალხთა ლიგის წინააღმდეგ, თუ იგი იგივე დარჩა როგორც ეხლაა, მაგრამ იმედს გამოსთქვამს, რომ ახალ წესდებაში უფრო კონკრეტიულად იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული ლიგის ფუნქციები და მასში უფრო ნაკლები იქნება განყენებული თეორია და იდეალიზმი.

**ვილსონის წესდების გადაკეთება**

... პრეზიდენტი ვილსონი აპირებს ლიგის წინასწარ წესდების გადაკეთებას და შეიტანს მასში რასიულ თანასწორობის საკითხი, რასაც იაპონელები მოითხოვენ, და აგრეთვე იმის განმარტება, რომ საშინაო და ეროვნული პოლიტიკა ლიგის განმგებლობაში არ იქნება, რაც, როგორც ფიქრობენ, დააკმაყოფილებს იაპონიას და უნდა ეთანხმებოდეს... (გაუგებარია). ვილსონი ფიქრობს რომ ეს დააწინაურებს აგრეთვე ავსტრიელებსაც. რაც შეეხება იაპონიას, ნიშნები იყო იმისა, რომ მისი დელეგატები მზად იყვნენ.

დათანხმდებოდნენ ყველაფერს, რაც კი მათ საშუალებას მისცემდა სახლში ისე დაბრუნებულიყვნენ რომ თანასწორობის პრინციპები რაოდენამდე მიღებულ ყოფილიყო იაპონია კარგად გრძნობს, რომ ის აქ უძლურია და სცდილობს შეურიგდეს თავის მდგომარეობას.

ვილსონის სამუშაო მაგიდა სავსეა წესდების შესწორების შესახებ ამერიკიდან გამოგზავნილ წინადადებით. ზოგი მათგანი ვილსონის მეგობრების თხოვნით უკვე შეიტანეს წესდებაში. პრეზიდენტის მეგობრები ამბობენ, რომ ლიგის ახალი წესდების გამოქვეყნების შემდეგ ამერიკაში ოპოზიცია დაცინვის საგანათ გარდაიქცევა. ყველაფრიდან ერთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ ძირითად საფუძვლებს მხოლოდ რამოდენიმე შესწორება შესცვლის. ლიგა არ შესწყვეტს ამერიკის ჩარევას ევროპის ყველა უთანხმოებებში. ამერიკა იძლევა რჩევას, კანტროლს უწევს ეკონომიურ პოლიტიკას, საზღვრავს ჯარის რაოდენობას და იძლევა ერთ ხმას წინაამდეგ ინგლისის 5 ხმისა. ირკვევა, რომ კანადის წარმომადგენელმა ბორდენმა განაცხადა, რომ კანადას არ სურს ევროპის უთანხმოებებში ჩარევა. ბორდენმა ამის შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინა ინგლისის დელეგაციას და დაამზადა შესწორებანი. კანადა როგორც ყოველთვის მზათაა ბრიტანიის დასახმარებლად გამოვიდეს, როდესაც კი ეს საჭირო იქნება მაგრამ მოვალეთ არა სთვლის თავის თავს ბალკანეთის ომში მონაწილეობა მიიღოს.

**საფრანგეთის პრესა უნგრეთის რევოლიუციაზე.**

საფრანგეთის პრესა შიშს გამოსთქვამს უნგრეთის მთავრობის დაცემის )?)... და გარეკის (?) გამო. „ლიბერტე" სწერს: „კონფერენცია უარს არ ამბობს რევოლიუციაში დაუყონებლივ ჩარევაზე; თუ ის მოუცდის, რომ დაწყებული არეულობა უაღრესად გაძლიერდეს, ცივილიზაცია დიდ საფრთხეში ჩავარდება: არ შეიძლება არც ერთი წამის დაკარგვა წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხთა ლიგა, მხოლოდ განუხორციელებელ ოცნებათ გადაიქცევა; ვიმეორებთ, რომ არც ერთი წამი არ უნდა დაიკარგოს და დაუყოვნებლივ უნდა გადავარჩინოთ ცივილიზაცია, და ამისთვის უმჯობესია მტერს დავასწროთ. უნგრეთის მთავრობის მოქმედებას გერმანიის ხელი ეტყობა. გერმანელები მუდამ ბოლშევიკებს ეხმარებიან, რომ შეძლება ქონდეთ სთქვან: „თუ თქვენს პირობებს არ შესცვლით, თქვენ ისევე მოგეპყრობით, როგორც უნგრეთსაო".

**გერმანიის ბლოკადის გაგრძელება**

რეიტერის სააგენტო სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეებს არა სურთ შიმშილით დატანჯონ გერმანიის მცხოვრებნი, თუმცა მოკავშირეთა სამხედრო საზღაო წრეები ბლოკადის გაგრძელებას მოითხოვენ.

**გერმანიის გადასაცემი ფლოტი**

**ბრიუსელი.** გერმანელებმა მიიღეს მოკავშირეთა ყველა პირობები, სავაჭრო ფლოტის გადაცემის შესახებ. გემებზე მეზღვაურებათ ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგები იქნებიან. ფიქრობენ, რომ გადასაცემ ფლოტის ტონაჟი 3 ნახ. მილიონ ტონს უდრის. საფრანგეთი მიიღებს 75,000—100,000 ტონამდე. ინგლისის განკარგულებაში გადავა მთელი საბარგო ტონაჟის $^3/_4$, საფრანგეთს — დანარჩენი. ამერიკას არაფერი არ მიეცემა, რადგან მას უკვე აქვს ავსტრიის ფლოტი.

**გერმანიის ზარალი ჰაეროპლანთა თავდასხმისაგან**

**ამსტერდამი.** ბერლინიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჰაეროპლანების თავდასხმებისგან ომის დროს გერმანიას 23,500,000 მარკა უზარალია.

**კლემანსოს თავდამხმელი**

**პარიზი.** კლემანსოზე თავდასხმელმა კოტენმა სასიკვდილო განაჩენი განასაჩივრა.

**ოსმალეთის ახალ კაბინეთში**

„ტაიმსს" სტამბოლიდან აუწყებენ, რომ ოსმალეთის ახალ კაბინეთში შევიდენ ყოფილი სმირნის ვალი რეშიდ ბეი და ტერფუთ ფაშა.

## გერმანული პრესა

**მოსკოვის საბჭოთა მთავრობა უნგრეთის საბჭოთა მთავრობისადმი**

უნგრეთის საბჭოთა მთავრობის მიერ მოსკოვის საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ რადიოზე, სადაც იუწყებიან, რომ უნგრეთში ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა და გამოთქმულია სურვილი რუსეთის მუშებთან ერთად უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლონ პროლეტარიატის მტრების წინააღმდეგ, მოსკოვის რადიო სადგურმა შემდეგი პასუხი გადაგზავნა ბუდაპეშტში:

„გულწრფელ სალამს უგზავნით უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარულ მთავრობას და კერძოთ ამხანაგ ბელაკუნს. თქვენ მიერ გამოგზავნილი ცნობა გადავეცი რუსეთის ბოლშ. პარ. კომინისტურ კონგრესს, რომ გადმოგცეთ ცნობები მოსკოვის კონგრესის და სამხედრო მოქმედების შესახებ. აუცილებელია, რომ მოსკოვსა და ბუდაპეშტს შუა განუწყვეტლათ მუშაობდეს რადიო. კომუნისტურ სალამით „ლენინი".

**რეინის ლითონის და მანქანების ქარხანა.**

რეინის ლითონის და მანქანების ქარხანა დიუსელდორფში, რომელსაც გერმანიაში მეორე ადგილი ეჭირა ზარბაზნების კეთების საქმეში, შეუდგა მშვიდობიან დროის სამუშაოს. როგორც კრუპის ქარხანამ ესენში, ისიც შეუდგა ორთქლმავლების და მაღაროს მანქანების კეთებას.

**სურსათი გერმანიისთვის.**

სურსათის რაოდენობის შესახებ, რომელიც მოკავშირეებმა გადასწყვიტეს მიაწოდონ გერმანიას, „ბერლინერ მორგენ-პოსტი" სწერს: 270 ათასს ტონის გარდა, რომლის გარანტია მისცეს მოკავშირეებმა გერმანიას, უკანასკნელს უფლება აქვს იყიდოს ყოველთვიურათ 370 ათასი ტონი საკვები მოკავშირეთა და ნეიტრალურ ქვეყნებში და საქონლის ფასი წინდაწინ უნდა იქნეს გადახდილი ჩვენ ვიმყოფებით იმ მშიერ ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც მაღაზიის ფანჯარაში ხედავს დიდძალ პურს, ქონს და ერბოს, მაგრამ არა აქვს ფული იყიდოს. გაზეთის გამოანგარიშებით იმ სურსათიდან, რომლის მიღების ნება აქვს გერმანიას, თვითეულ ადამიანს ერგება თვიურათ 10 გირვანქა, ანუ დღიურათ 166 გრამი. აუცილებლათ საჭიროა დამატებითი სურსათი. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ მაისში გერმანიაში სრულიად აღარ იქნება ხორბალი. აღარ იქნება აგრეთვე ქონი და ერბო, ასე რომ არაფრის განაწილებაც აღარ შეიძლება. ამიტომ თუ სხვა ქვეყნების ჭირნახულით შეესძლით შევინარჩუნოთ ჯერჯერობით არსებობა, ახალ მოსავლამდე შევამცირებთ რაციონს და კმაყოფილიც ვიქნებით.

**გერმანია და ზავის პირობები.**

მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ ზავის პირობებისადმი უნდობლობა გერმანიაში იზრდება, რადგან ხედავენ, რომ მოკავშირენი მხარს უჭერენ პოლონელების მიერ დანციგის მოთხოვნას და ფრანგები ერევიან წმინდა გერმანულ გზების საქმეში, როგორც მაგალითად კილის არხია. შესაძლებელია ახალ ევროპის მოწყობა, თუ უარყვეს გერმანიის თანამშრომლობა. გერმანიის ქონებას მოკავშირენი დავლათ სთვლიან, მაგრამ მათი ასეთი მოქმედება მიუღებელია, თუნდაც მათ ძალა იხმარონ ან შიმშილის ბლოკადა განაგრძონ.

მონარქისტებიდან დაწყებული სპარტაკელებამდე გერმანიაში არც ერთი პარტია არ მოიპოვება, რომ ნაძალადევ ზავის სასარგებლოდ იყოს განწყობილი. თუ ეხლანდელმა მთავრობამ მიიღო გერმანიის დამახინჯებული ზავის პირობები, ის თვითმკვლელობას ჩაიდენს.

**გერმანია და მალმეიდა**

ბელგიის სოციალისტური პრესა მოითხოვს მალმეიდის შემოერთებას, რომელიც ათასი წლის განმავლობაში გერმანიას ეკუთვნოდა. „ფორვერტსი" სწერს, რომ მალმეიდის მუშებმა არ სცადეს იერიშით აეღოს სტეინაახის ქარხანა, სადაც ბელგიის დროშა ააფრიალეს მალმეიდაში ჩამოსულ ბელგიის აგენტებს მუშები მტრულად შეხვდენ.

**ბერლინის მუშათა და ჯ.-კ. საბჭოთა ახალი არჩევნები**

ბერლინის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა 9 ხმით წინააღმდეგ დაინიშნოს ახალი არჩევნები.

**იმპერატორი კარლოსი**

ავსტრიის ყოფილმა იმპერატორმა კარლოსმა სთხოვა შვეიცარიის მთავრობას ნება დართონ შვეიცარიაში იცხოვროს. ოფიციალურად იუწყებიან, რომ კარლოსის თხოვნა დააკმაყოფილეს.

## ფრანგული პრესა

**პოლონეთის საბჭოს თავმჯდ. პატარევსკის გადადგომა**

პოლონეთის პოლიტიკური და პარლამენტის ცნობაა, რომ პოლონეთის საბჭოს თავმჯდომარე პატარევსკი გადადგა სიგარეო მინისტრის თანამდებობილან და დარჩა საბჭოს თავმჯდომარეთ როგორც უპორთფელო მინისტრი.

## სასოფლო მეურნეობა

**დიღმის მინდვრის მორწყვა.**

წყალთა სამმართველო ამ ჟამათ აწარმოებს გამოკვლევას წყლისას დიღმის მინდვრის მოსარწყავად, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აძლევს სამმართველო თბილისის გამოკვლევის საქმეში. გამოკვლევის პროექტი უკვე შემდგარი და დამზადებულია. გამოკვლეულია უკვე 1500 დესეტ. ამ მინდვრის მოსარწყავად ნახევარზე ნაკლები ამ მიწისა ეკუთვნით დიღმის სოფლის საზოგადოების გლეხებს, დანარჩენი ნახევარზე მეტი შეადგენს საფონდო მიწას, რომელიც უწინ მუხრან-ბატონებს ეკუთვნოდათ.

დიღმის სოფლის საზოგადოებამ ამ საქმის განსახორციელებლად ყველა ინსტანციებში თვის რწმუნებულებად საქმის წარმოებაში აირჩია სამთამადნო სამმართველოს უფროსი ი. ა. ყიფშიძე. მიღ სოხოლაშვილი და მ. გეგელიშვილი. ამ რწმუნებულთა თანადასწრებით წყალთა სამმართველოს გამგეთა მონაწილეობით თბ. სამაზრო საერობო გამგეობაში შესდგა ამ დღეებში კრება, რომელზედაც გადაწყდა, რომ სამაზრო ერობამ უნდა შეადგინოს საწყლო ამხანაგობა. გლეხებისა და მთავრობის მონაწილეობით, რომლის ხელითაც დღეს იმყოფება ეს საფონდო მიწები. ამ საკითხის ფინანსიური მხარის განხილვა შემდეგ კრებებისათვის გადიდო.

—

**აბრეშუმის თესლის შესყიდვა.**

მიწათ-მოქმედების სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა ნაწილის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქმნა ადერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლის საქართველოს რესპუბლიკაში თხოვნა, მიწადმოქმედების მინისტრის სახელზე შემოტანილი, თუ რა პირობებით უნდა სწარმოებდეს ბათომსა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ადერბაიჯანისათვის შესყიდულ აბრეშუმის თესლის გაზიდვა საქართველოს რესპუბლიკიდან და რა პირობებით უნდა მოხდეს ამ თესლის გამოკვლევა სააბრეშუმო სადგურზე.

კრებამ დაადგინა ეცნობოს ადერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომ აბრეშუმის თესლის შესყიდვა საქართველოს საზღვრებში ნებადართულ ვერ იქნება, ხოლო ის აბრეშუმის თესლი კი, რომელიც შესყიდულია საზღვარ-გარეთ, გაშვებულ იქმნება ტრანზიტით დაუბრკოლებლივ. რაც შეეხება ამ თესლის გამოკვლევას კავკასიის სააბრეშუმო სადგურზე, ეს გამოკვლევა შემდეგი პირობებით უნდა მოხდეს: 1) აბრეშუმის თესლი უნდა ჩამოტანილ იქმნეს სადგურში ადერბაიჯანის ხარჯით არა უგვიანეს 20 მარტიდან დაწყებული ვიდრე 1 აპრილამდე. 2) სადგური თითო მისხალ გასინჯვაში ახდევინებს 10 კაპეიკს 3) აბრეშუმის თესლი, რომელიც მოწამლულია განადგურებულ უნდა იქნეს.

## ტრფობა წამებული

**(ისტორიული რომანი)**

27.

ამ ჰაზრით ხელმძღვანელობდა იმპერატორი ლეონი, როცა აქეზებდა აშოტს აგარიანთა წინააღმდეგ და აღუთქვამდა მას დახმარებას. თბილისთან რომ ომი წააგო მეფემ, იმ ბრძოლის წინ კარგა ხანი უცდიდა საბერძნეთიდან მომავალ მაშველ ლაშქარს, რომლის გამოგზავნაზედ უკვე ცნობა ჰქონდა მიღებული.

— ნუღარ უცდი, ბატონო, ნუღარა ჰყოვნი! სარკინოზთაც იციან მაშველი ჯარის წამოსვლა ბიზანტიიდან და აფხაზეთიდან, სწრაფად ემზადებიან. მთელი თავიანთი ძალები საომარ ფეხზედ დააყენეს. ქორიკოზთანაც კაცი აფრინეს. თანდათან გაძნელდება მათთან შებრძოლება.

— ვიცი! მაგრამ აკი მოგვახსენეს, ჯარი უკვე გზაზედ არისო. დღედღეზედ მოგვივა ცნობა, ბერძენთა რაზმები ქართლის ყელს გადმოვიდნენ და ფეხი შემოდგეს საქართველოშიო.

— შეიძლება მოგვატყუნოს: ნაჩვევნი არიან იგინი ტყუილს. ან ვინ იცის, რა გარემოებებმა შეუშალეს ხელი. მოგეხსენებათ, ბიზანტიას ბევრი გარეშე მტერი ჰყავს და შინაური მშვიდობიანობაც ერთობ ცვალებადია, მთლად დამყარებული კარისკაცთა და წარჩინებულთა თვითმოყვარეობაზედ. გვირგვინი იქ ბურთისავით გადადის ხელიდან ხელში.

— მაშ, ბარძიმ ჩემო?

— გავეცალნოთ ჯერჯერობით. ვიწროები შეუკრათ.

— გვიან და არის! თავიდანვე დავუშვით შეცთომა: არ უნდა დაგვემყარებინა იმედი სხვის ხმალზედ. დაგვავიწყდა სიტყვა მოციქულთა: „კრული იყოს კაცი, რომელმან დასდვას სასოება თვისი კაცსა ზედან სხვასა". ისინი უკვე მზად არიან და ფერი რომ უკუვიბრუნოთ, უფრო მეტად დავზარალდებით: სანგრებიდან გამოსულებს დაგვეცემიან, ადვილად მოგვაყენებენ მეტ ზიანს.

— მაშ რას გვიბრძანებ?

— უნდა შევებათ! ჩვენის ძალით შევებრძოლოთ და რაც განგებას განუზრახავს ჩვენთვის, ის მოგვივიდეს. ვიცი, ძნელია: ერთხელ ბევრი მოვა მშვენივრად შეიარაღებული, მაგრამ...

ესე უბნობდენ მეფე და მისი მხედართმთავარნი. ღონობდნენ, ხსნის გზა აღარსად იყო. ერთადერთი მათი სასოება იყო ღმერთი, რომელიც სასწაულებრივ თუ მოუვლენდა მარჯვე შემთხვევას და იხსნიდა თვის სამწყსოს უსჯულოთაგან. მაგრამ ღმერთს პირი შეექცია თვისი რჩეული ერისაგან, ღვთისმშობელს მფარველობის ფრთა მოეხსნა წილხდომილ საქართველოსთვის. და... დაესვა მახვილი ქართველთა მკერდს თბილისის სანაზეებში, იძლია აშოტ უძლეველი, ივლტოდა დამდაბლებული დედა-წულითურთ...

იქნება გულზედ სისხლ გადათხეულ აშოტს კიდევ ჰქონდა იმედი, გზაზედ შეჰხვდებოდა მაშველი ლაშქარი აფხაზთა თუ ბიზანტიელთა, ჩაუდგებოდა სათავეში, შეჰკრებდა თვის ფრთის ქვეშ გაფანტულ რაზმებს ქართველთა მეომრებისა და რისხვას დასცემდა მტერს გალაღებულს. ტყუილად! არსად იყო მისი მშველელი... მიილტოდა ქართლის კარისკენ ძლეული მეფე და რაც უფრო მეტს მანძილს მიდიოდა, იმდენად უფრო უდნებოდა ეს უიმედო იმედიც, იფანტებოდა, დნებოდა. ბოლომა აწვებოდა გმირს, ჯავრი აღიჩბოდა, სევდა ულონო. ივლტოდა აშოტი, უძლეველი თვის ერს საბრალოდ ლტოლვილს... განა შეიძლება მეტი უბედურობა ბუმბერაზისათვის, მეტი დამცრობა მძლე მეფისათვის?!

— გაბრუნდი, აშოტ, მარტოდ-მარტო გონე მოზღვავებულ მტერს, ბრძოლის ველზედვე შეაკვდი მის ლესულ მახვილს. ეს შეგშვენის შენ! ივლტვი?! საითღა გარბი კანჯარი ფრთხალი? გადობილებისაკენ ჰრბი, დამცირებულო! დაიეც მახვილი!

— არა! მახვილით გულის გაპობას ყოველ ჟამს მოვესწრობი: ჩემ ხელთ არის ეს. დღეს მაინც მამა ვარ საწყალ ძლეულთა; ვერ მოუსპობ მათ სასოებას. სულმოკლობა იქმნება, მოვიკლა თავი ან უაზროდ შევაკვდე მტერს და მივსცე ცხოვარნი წარსაწყმედელად.

— რაღა შეგიძლიან, ულონო ქმნილო?

— მივყვები საზღვრებამდინ. გავუხსნი გზას ბიზანტიისაკენ. თუ არა, მათ თვალთ წინ მაინც გავსწირავ სიცოცხლეს. იტყვიან; ჩვენსვე ზრუნვაში დალია სული!

მოჰხედა ღმერთმა საქრისტიანოს: იქ გაუმარჯვდა აშოტს, სად არ ელოდდა. მხსნელი შესწირა სამადლობელი. შეჰღაღადა:

— მხოლოდ შენა ხარ სასოთ ჩემი საველრებელი! შენზედ-ღა ვეყრდნო ამიერით, შენ განამტკიცე მარჯვენა ჩემი.

და აკი თავისით მოქმედებდა აშოტი ამის შემდეგ, მხოლოდ საკუთარის მოსაზრებით და ძალით. უარს არა ჰყობდა გარეშე მეგობრების კეთილ რჩევას, არც უკუაქცევდა მათ აღთქმას მაშველ მარჯვენის გაწვდას; იმედს მაინც მხოლოდ თავის თავზედ ამყარებდა და თავის ხალხზედ. გაუმარჯვდა ბედნიერს შინაც, გარეთაც. იგივე დიდი აშოტი იყო აწ მორჩმით მჯდომარე მეფე სვიანი. ჯერ, მართალია, მთელი საქართველო არ ეჭირა ხელში, გარნა მთელ ქართველობას თავის ბედის ვარსკვლავად მიაჩნდა იგი ბრწყინვალე. ქართველთა თვალი მხოლოდ მისკენ იყო მიპრობილი სასოებით. გრძნობდა ამას აშოტი და აათკეცებდა თავის ნაყოფიერ მოქმედებას სახელმწიფოშიც, იმის გარეშეც, აღორძინებდა თვის საბრძანებელს მტერთა ძლევით, სამეფო წყობილებათა განმტკიცებით შინაგან ცხოვრების ყოველმხრივ განვითარებით.

— ჭეშმარიტად დიდებულია აშოტი სახელგანთქმული. სხვა ვინ შესძლებდა ქვეყნის ესე ჰაზრიანად დაცვას, ოდეს გარს მოვდგომია უძლეველი მტერი მრავალი? სხვა ვერვინ შესძლებდა ხალხთ ცხოვრების აღორძინებას თუ გადაფურჩქნას ამ ცოტა ხანში.

— მერმე რა საშინლად იყო გავერანებული მტრისგან და ჭირისაგან ეს ძვირფასი მხარე! გაპარტახებული დაბა-სოფელი, მინდორ-ვენახი, სახლკარი ნგრეული; მხეცთა ბუნაგად გარდაქმნილი სამკვიდრებელი.

— გამრავლა ეკლესიები და მონასტრები ამ მცირე ხანში, ააყვავა, როგორც წალკოტნი, სათნოებათა იგი სანერგენი. აწ მოეფინების მათ მიერ სიკეთე ქართველთ ნათესავს, აღევლი ნება ვედრებაცა ყოვლად სახიერს, ხანთძა, შატბერდი, ოპიზა, დედათ სავანე მერეი... აშოტის ხელში აღმოცენდა და გაბრწყინდა სავანე მრავალი. ქართველთა ეკლესიას აქ დაედვა ფუძე ურყევი; აქედან აღმობრწყინდების განათლება ჩვენი ქრისტიანული. მხოლოდ აშოტს შეეძლო ეს დიდი საქმეები, დიდ აშოტს სათაყვანებელს!

— კურთხევა ღვთისა განისვენებს მეფეზედ და მადლი მაღლისა უძღვის მის სავალებს სავალს ბრწყინვალეს. თვით მეფე წარმართავს მის სავალს: მხოლოდ თავის ძალაზედ დაყრდნობილი ადამიანი ვერ შესძლებდა აღესრულებინა ყოველივე ეს, ვერ მოაგვარებდა, ვერც მოასწრობდა.

მართალნი იყვნენ აშოტის მადიდებელნი და თანაშემწენი, როცა ესე უბნობდნენ იმაზედ. რამდენსამე წელიწადს აივსო აშოტის საბძანებელი ხალხით, დამუშავდა უდაბნოდ ქცეული ქვეყანა, კეთილდღეობა დამკვიდრდა მასში და სიხარული უზრუნველი. ღვთივ განათლებული გონების ნაყოფი უხვად მოეფინა აშოტის საბრძანებლიდან მთელ საქართველოს. გამტკიცდა სჯული. ამაღლდა აზრი. სარწმუნოებრივი აღფრთოვანება ქართველთა აწ ესწრობოდა ახალ სჯულით ნაკვესს ალტაცებას აგარიანთა; ქართველთა გონების ნაწარმოები ქალად ხვდებოდა არაბთა ცეცხლის მფრქვეველ გონების ნალეწს. ღირსეული მეტოქე რაინდ აგარიელთა!.. ოღონდაც რომ ნიჭიერი იყო ამის მომქმედი ქართველთა ერი, გონიერი იყო და ხელკურთხეული ამ ხალხის პატრონი, მის წინამძღვარი.

რაც უფრო მეტ კეთილდღეობას განიცდიდა ხალხი, იმდენი უფრო ემატებოდა აშოტს უნარი თუ ხალისი მოქმედებისა; უფრო მეტაზრიანი მოსჩანდა ყოველი მისი საქმე, მიზანშეწონილი, ერის ცხოვრება-მისწრაფებაზედ გამოჭედილი.

— როგორ ასწრობს ყოველსავე ამას აშოტ, ან როდის?! განსაცვიფრებელია ერთის კაცისაგან ამოდენა შრომის უნარი.

— დიდი მხნეა და ნიჭიერი! მაგისა ნიჭი იქიდანაცა სჩანს, რომ იცის თანამშრომლების ცნობა და არჩევა. ისე განსჭვრეტს კაცს, როგორც გულთმისანი.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლი ან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგზ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.

მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—17—92.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმის**

**ლიძიაშვილი დავითის ძე**

**მეძილიანი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მედიცინის ექიმი**

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სასრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—25

სტამბა კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.